გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 27

2023 წლის 10 თებერვალი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.48.04.008 ქონებიდან (N1 შენობის საერთო ფართი 382.09 კვ.მ) 40 კვ.მ ფართის, ფ/პ იოსებ ღვინიაშვილისთვის (პ/ნ 59001099756) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 05 ოქტომბერს (№ 19/2022278109-20) შემოსულია ფ/პ იოსებ ღვინიაშილის (პ/ნ 59001099756) განცხადება, რომელშიც ქორეოგრაფიული დანიშნულების (ცეკვის სტუდია) მიზნით, იჯარის ფორმით, 10 თვის ვადით, მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ფლავში მდებარე ს/კ 66.48.04.008 უძრავი ქონებიდან 40 კვ.მ ფართი.
აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2023 წლის 10 იანვრის N 008-ქ საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.48.04.008, დაზუსტებული ფართობი-3,115.00 კვ.მ) განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-დან (საერთო ფართი - 382.09 კვ.მ) - 40.00 კვ.მ, მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფლავი, უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 14,500 (თოთხმეტიათას ხუთასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ფლავში მდებარე ს/კ 66.48.04.008 უძრავი ქონებიდან (N1 შენობის საერთო ფართი 382.09 კვ.მ) 40 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემა,

რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ფლავში მდებარე ს/კ 66.48.04.008 უძრავი ქონებიდან (N1 შენობის საერთო ფართი 382.09 კვ.მ) 40 კვ.მ. - ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ქორეოგრაფიული დანიშნულებით (ცეკვის სტუდია) გამოყენების მიზნით, იჯარის ფორმით გადასცეს ფ/პ იოსებ ღვინიაშვილს (პ/ნ 59001099756).

2. ს/კ 66.48.04.008 უძრავი ქონებიდან (N1 შენობის საერთო ფართი 382.09 კვ.მ) 40 კვ.მ ფართის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 14, 500 (თოთხმეტიათას ხუთასი) ლარით.

3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარით.

4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 10 თვის ვადით.

5. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე